საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

კვირა, 23 ნოემბერი 1919 წ. № 209

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღიაა 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ადმინისტრაცია (ღიაა 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 150 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

სამშაბათს 25 ნოემბერს საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე ქუთ. ქალაქის თეატრში წაიკითხავენ

ლექციებს

პირველ კედია: საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა.

ალ. ასათიანი: საქართველოს ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა. ლექციების შემდეგ გაიმართება კამათი.

ვარდენ ვასილის ძე ქელბაქიანი და შვილები მისი: მაშო, ნადია, ლიუბა, ვენია, ფაცია და ლიზა, სიძეები: ვარლამ (ვალიკო) არდიშვილი და ევტიხი ჩხატარაიშვილი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის საყვარელი მეუღლის, მეორე ძვირფასი დედის და მესამე სიდედრის

ალექსანდრა ივანეს ასულ ქელბაქიანისას

რომლის გამოსვენება ბინიდან (პოლიციის ქუჩა, სახლი კლდიაშვილისა) და დაკრძალვა საფირჩხიის სასაფლაოზე მოხდება 25 ნოემბერს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე 4 საათზე. 2—1.

ვარლამ (ვალიკო) არდიშვილი და მეუღლე მისი მაშო ვარდენის ასული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, — პირველი ძვირფასი სიდედრის, ხოლო მეორე საყვარელი დედის

ალექსანდრა ივანეს ასული ქელბაქიანის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 25 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე 4 საათზე, პოლიციის ქუჩა, სახლი კლდიაშვილისა.

ევტიხი ჩხატარაიშვილი და მეუღლე მისი ნადია ვარდენის ასული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი სიდედრის ხოლო მეორე საყვარელი დედის

ალექსანდრა ივანეს ასული ქელბაქიანის

გარდაცვალებას რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს 25 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/^2$ საათზე პანაშვიდები ყოველ დღე 4 საათზე. პოლიციის ქ. სახლი კლდიაშვილისა. 2—1

ქვრივი მარიამ იაკობის ასული შვილები ლევან, არჩილ და ლილი, დედა ელისაბედ სიმონის ასული, ძმები მიხაილ, რაფაელ და გაბრიელ იოსებიანი ძენი გოკიელები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ორშაბათს 24 ნოემბერს გარდაცვალების მე-7 დღეს დილის 9 საათზე ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

პეტრეს

სულის მოსახსენებლად.

ეკატერინე თეიმურაზის ასული აბდუშელიშვილისა შვილებით და სიძეებით უღრმეს მადლობას უძღვნიან ნათესავთ, ნაცნობთ და ყველა იმ პირთ, ვინც კეთილ ინებეს და პირადათ ანუ დეპეშით პატივი სცეს და ანუგეშეს იგინი ძვირფასი და დაუვიწყარი

დავით ნიკ. ძე აბდუშელიშვილის

გარდაცვალების გამო. 1—1.

ქვრივი ელისაბედ ირაკლის ასული მიქელაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში სამშაბათს 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

დავით ალექსანდრეს ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ. 2—1

ნაფიცი ვექილი

მიხეილ ნიკიფორეს ძე ბერძენიშვილი—იგივე ბერძენიშვილი

გადავიდა ივანოვის ქუჩაზე, ახდრონიკაშვილის სახლში, ზედა სართულში.

3—1.

ფიმფილოგასთან გრძელა.

15 და 16 ნოემბერს თფილისში მომხდარა სასურსათო დარგში მოუშავეთა და გამგეობის წევრთა თათბირი, რომელშიაც მთავრობისა და კოოპერატივების წარმომადგენლებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

მაგრამ ამ თათბირის დადგენილებანი თუ განხორციელდა, საშინელება დაგვატყდება თავს.

სასურსათო თათბირის დადგენილებისდა მიხედვით სავალიუტო საგნების (თამბაქოს, მატყლის, პარკისა და სხ.) გაზიდვა და პურისა და სხვა პირველი საჭიროების შემოზიდვა უნდა დაევალოს მხოლოდ მთავრობასა და თვითმართველობათა და უნდა აეკრძალოსთ კერძო აგენტებს.

მთავრობასა და თვითმართველობათვე უნდა დაევალოს ისეთის არასავალიუტო საქონლის (თხილის, დაფნისა და სხ.) გაზიდვა, რომელიც მალე ფუჭდება.

ამ მიზნით მთავრობამ და თვითმართველობებმა უნდა მოაწყონ უცხოეთში სავაჭრო მისსიები.

იმავე დროს უნდა გადადებულ იქნეს სასურსათო ფონდი და ჩაბარდეს მთელი ამ საქმის ხელმძღვანელობა ერობათა კავშირის კომიტეტს.

ერთი სიტყვით, უნდა მოეწყოს ახალი სასურსათო კომიტეტები, მისსიები, სავაჭრო კომისიები, მისსიონერები და სხ. რასაკვირველია, ამ ახალს ბიუროკრატიას აუარებელი ხარჯი დასჭირდება.

იმავე დროს, უეჭველია. ეს ბიუროკრატია არა თუ ვერაფერს ვერ შექმნის, არამედ, რაც გაკეთებულია, იმასაც დაანგრევს:

აბა, მიბძანეთ:

თამბაქოს პატრონებს რომ თამბაქო არ გააყიდვინონ, დასთესავენ თამბაქოს? და რაც აქვს, არ გადამალვენ?!

დ., მატყლისა და აბრეშუმის პატრონებს რომ მატყლი და აბრეშუმი რეკვიზიციის წესით ჩამოართვან, მეტად ცოტა მატყლი და აბრეშუმი გაჩომზეურდება: უმეტესი ნაწილი შინვე გაიყიდება.

და, თხილი, დაფნა და სხ. თუ პატრონებს ჩამოართვეს, თხილის გაშენებასა და დაფნის მოკრეფა—შენახვასაც ბოლო მოეღება.

ქალაქის თეატრში
სამშაბათს
სპირიდონ კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური.

სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელებმა ქ. მილანში საერთო გაფიცვა მოახდინეს.

დნეპრის რაიონში (კიევიდან 40 ვერსზე) მოხდა გლეხთა აჯანყება საბჭოთა წინააღმდეგ.

ასტრახანის გუბერნიაში ბორისო-გლების რაიონში და კალუგის გუბერნიაში დიდი აჯანყებაა.

დენიკინის მიერ ჯარში გაწვეულები ინგლისში პურის გატანის გამო აჯანყდენ.

დენიკინსა და დონის მთავრობის შორის უთანხმოებაა.

შვეიცარიის ნაციონალურ საბჭომ 128 ხმით 43 ის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება შვეიცარიის „ხალხთა ლიგაში“ შესვლის შესახებ.

იტალიის დეპუტატთა პალატის არჩევნებში სოციალისტები და კათოლიკენი იმირჯვებენ.

რომელი მწარმოებელი დახარჯავს თანხასა და შრომას თავისდა საზარალოდ?!.

მაშ სასურსათო თათბირის არც ერთი დადგენილება მისაღები არ არის.

და ერთად ერთი გზა – ის გზაა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა.

სავალიუტო თუ არასავალიუტო საქონელი საქონლის შეპატრონეთა ამხანაგობებმა უნდა გაზიდონ იმ პირობით, რომ გაზიდული საქონლის ნაცვლად პური და სხვა პირველი საჭიროების საქონელი შემოიტანონ და მიღებულის წმინდა მოგების განსაზღვრული პროცენტი (თუნდა 25 %) უცხო ვალიუტით მთავრობას გარდასცენ.

მაშინ, ერთი მხრით, მესაკუთრეები წახალისდებიან და წარმოებაზე ხელს არ აიღებენ და, მეორე მხრით, მთავრობას ახალ კომიტეტებზე და მისიებზე არა დაეხარჯება – რა, სამონოპოლიო რენტა ხელში შერჩება.

დიაღ! მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი, რომ წარმოება არ გაჭრეს. და სურსათი და სხვა საჭირო საქონელი შემოზიდულ იქნეს.

კმარა. სასურსათო და სხვა ამგვარი კომიტეტებისაგან რაც ვიწვნიეთ!

გვაშოროს ღმერთმა ამ ახალი ბიუროკრატიის ხელში ჩავარდნა!

ნესტარი.

გათუმის ამგები.

დღევანდელი ახალი ამბებიდან მკითხველი გაიგებს, რომ ბათუმში საყურადღებო განცხადება გამოცა ინგლისელმა გენერალ გუბერნატორმა.

გენერალ გუბერნატორის გადაწყვეტილებით ბათუმში გაუქმებულია ქალაქის საბჭო და გამგეობა იმ შემადგენელობით და ხასიათით, როგორითაც ეს მეორე წელიწადია მოქმედებდა. ნაცვლად ამისა შემოულია სულ სხვა წესი. გენერალ გუბერნატორის დადგენილებით შესდგება დროებითი მმართველობა სამი პირისაგან, რომელთა შორის ორი ქართველია, მათ მეთაურობს ინგლისის ოფიცერი-პასუხის მგებელი ინგლისის მთავრობის წინაშე. ეს გამგეობა მოიწვევს საჭირო პირებს ადგილობრივი მოქალაქეთა შორის არჩეულს და მომავალი წლის თებერვლამდი განაგებენ ყოველ მხრივ ქალაქის ცხოვრებას.

„დროებით გამგეობას ევალება ყოველი მხარე ქალაქის ცხოვრებისა მოაგვაროს, ყოველ დარგზე იზრუნოს და ამისათვის საათანადო ზომები მიიღოს, რომ უზრუნველ ყოფილ იქნეს მოქალაქეთა მდგომარეობა. მომავალ თებერვალში განზრახულია მოხდეს ახალი არჩევნები წესიერი და სამართლიანი, რომ ხელახლა შესდგეს ქალაქის საბჭო და გამგეობა მოქალაქეთა უმეტესობის სურვილის მიხედვით.

აღნიშნული გადაწყვეტილება და სავალდებულო დადგენილების სახით გამოცემული არსებითად სცვლის ბათუმის დღევანდელ მდგომარეობას და მომავალისთვისაც სხვა მდგომარეობას ამზადებს.

როგორც ვიცით ბათუმი უეცრად ჩვენდა საუბედუროთ ხელიდან გამოგვეცალა შარშან და თათრებს ხელში ჩაუვარდათ. სანამდი გერმანიის საქმე კარგათ იყო, ბათუმზე იმედი არ დაგვიკარგავს, მაგრამ შემდეგ, როცა გერმანიის საქმეები შეფერხდა, ბათუმში ინგლისის მფარველობით გაძლიერდა რუსის ელემენტი და სულ მალე ქალაქი ფაქტიურად რუსებს ჩაუვარდა ხელში. ბათუმში ფეხი მოიკიდა რუსეთის მომხრე ძალამ, ბათუმი შეიქნა დენიკინისა და კოლჩაკის მომხრე მავნე ელემენტების თავშესაფარი და სათარეშო ასპარეზათ.

ბათუმში ქართული ელემენტი შეიწროვდა. და ამ ბოლო ხანებში დენიკინის მომხრე ძალები სტრატეგიული პუნქტის მოწყობასაც კი განიზრახავდენ. იქ მოდიოდა რუსეთიდან მავნე ელემენტი, იქიდან მიუდიოდა დენიკინს ბევრგვარი დახმარება და სხვა ასეთები. ამის გამო ბათუმი ძლიერ სახიფათო შეიქნა ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისთვის.

ერთი მხრით ბათუმი დავკარგეთ როგორც სამრეწველო ქალაქი, როგორც ზღვის ნაპირის სიმაგრე და მეორე მხრით პოლიტიკური საფრთხის ადგილათ გადაგვექცა, სადაც მტერმა მოიკალათა და ჩვენ მიზანში ამოგვიღო.

დღეს გარემოება იცვლება. ბათუმის მდგომარეობაში ახალი ხანა იწყება.

ბათუმიდან რუსის ელემენტი გაიდევნა. ბათუმი ინგლისის ზედამხედველობაში იქნება. ფაქტიურად ბათუმის გამგენი ქართველები იქნებიან. ყოველშემთხვევაში ბათუმში დიდი უფლება ეძლევა ადგილობრივ ძალებს და მათ შორის უპირატესობა და უმეტესობა ქართველები იქნება. ასეთი მდგომარეობა ,ანშორებით სჯობს მას, რაც დღემდი იყო და მეტ იმედს იძლევა, რომ საბოლოოდ ბათუმის საკითხის გადაწყვეტაში ქართველების ინტერესი უფრო დაცული იქნება, ვინემ აქამდი იყო მოსალოდნელი.

რასაკვირველია ბათუმი საბოლოოდ არც ინგლისის ხელში უნდა იქნეს, არც ვინმე გარეშე ძალას დაემორჩილოს, **ბათუმი უნდა იქნეს საქართველოს საკუთრება**, რასაც მოითხოვს სამართლიანობა და კანონიერება, მაგრამ ჯერ-ჯერობით რუსების ხელში მის ყოფნას, ათასჯერ სჯობს ინგლისელების ზედამხედველობაში იყოს და ადგილობრივი ძალები პატივდებაში ეყოლოსთ.

უწინდელს დღევანდელი სჯობს და დღევანდელს მომავალმა უნდა აჯობოს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთ-კავკასიის კომიტეტი პარიზში.

ჩვენს გაზეთში უკვე იყო ცნობა, რომ მიმდინარე წლის მარიამობისთვეში, საფრანგეთის საზღვაო ლიგასთან, დეპუტატ დე-მონზის საპატიო და მ. ე. გიპოს ფაქტიურ თავმჯდომარეობით, საფრანგეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების – საქართველო და აზერბაიჯანს შორის ეკონომიური ურთიერთობის გასაადვილებლად დაარსდა საფრანგეთ-კავკასიის ეკონომიური კომიტეტი. ეხლა ხან მიღებული ცნობით, ამ კომიტეტს პარიზის მეცნიერულ საზოგადოებათა დარბაზში გაუმართავს დიდი საჯარო კონფერენცია, რომელზედაც სიტყვებით გამოსულან მთელი რიგი გავლენიან ორატორებისა. კონფერენციის დასასრულს გამოუტანიათ შემდეგი რეზოლიუცია:

„კომიტეტის დამფუძნებელ, საპატიო და თანამგრძნობ წევრებმა, მოისმინეს რა საქართველო-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მოხსენება ხსენებულ ახალ რესპუბლიკათა საჭიროებისა და მოთხოვნილებისა და საფრანგეთთან დამოკიდებულების შესახებ, სალამს უძღვნიან დე მონტის პატივცემულ პრეზიდენტს, რომელმაც მფარველობა გაუწია ხსენებულ კომიტეტს კომიტეტს მიზნად აქვს დასახული ვაჭრობა-მრეწველობის მოგვარება საქართველო-აზერბაიჯანსა და საფრანგეთს შორის.

კომიტეტის წევრები სთხოვს საფრანგეთის მთავრობას მიიღოს ზომები მოკავშირეებთან ამიერ-კავკასიასთან წესიერი ეკონომიურ ცხოვრების შესაქმნელად და მიმოსვლის აღსადგენად, რისთვისაც საჭიროა უმთავრესად ნოსნობის რიგიან პირობებში ჩაყენება, ფოსტა ტელეგრაფი აღდგენა და ტრანზიტის გაუმჯობესებას. კომიტეტის წევრები დაბეჯითებით მოითხოვენ საფრანგეთის მთავრობამ იცნოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და მოკავშირეებსაც მიაღებინოს იგი“.

საქართველოს დელეგატი შვეიცარიაში.

შვეიცარიაში ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის ა. დეკანოზიშვილი, რომელიც საქართველოს მთავრობამ დანიშნა საქართველოს წითელი ჯვრის წარმოსადგენლად. დეკანოზიშვილმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, საქართველოს წითელი ჯვრის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა.

კაიოს სიკვდილით დასჯა.

უკანასკნელ საათში მიღებულ ცნობით სასამართლოს განაჩენით კაიო დახვრიტეს. სიკვდილის წინაშე მორფი შეუშხაპუნეს, ექიმი ყოველ წუთს პულსს უსინჯავდა ცოცხალი იყო თუ არა. რათდანაც მას დგომა არ შეეძლო, ის დასვეს სკამზედ და მისი დავრდომილი სხეული ბოძზე მიაკრეს. ყველაფერი ეს მოქმედებდა ჯარისკაცთა ნერვებზე და ისინი ცუდად უმიზნებდენ მას. ბოლოს ორი ნაბიჯის მანძილზე გასროლილმა ტყვიამ ბოლო მოუღო მის წამებას.

ახალი ამგავი.

ქუთაისი.

ლექციები. სამშაბათს, 25 ნოემბერს ქალაქის თეატრში ლექციებს წაიკითხავენ **სპირიდონ კედია**: „საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა“, და **ალ. ასათიანი**: „საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა.“

✦ **ბათუმის გენერალ გუბერნატორის განკარგულება.** ქალაქის სარგებლობისა და კეთილ დღეობისათვის, ეხლანდელ ქალაქის საბჭოს დათხოვას აუცილებელ საჭიროთ ვრაცხ, ამიტომ 20 ამა ნოემბრიდან

წაიკითხავს ლექციას

საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის საბჭოს დათხოვნილად ვაცხადებ. ბათუმის ქალაქის თვითმართველობა როგორც არჩეული დათ[illegible]ხოვნილი საბჭოსაგან, და ყველა მ[illegible]თი კომისიები აღნიშნულ რიცხ[illegible]ვიდან გაუქმებული არიან.

ამასთანავე მე გავეცი განკარგულება, რომ საბჭოს ახალი შემადგ[illegible]ნლობა არჩეული იქნას იმ პირთ[illegible] რეგისტრაციის შემდეგ, რომლებსაც აქვს უფლება ამრჩევლის და თვი[illegible]არჩევის, იმ უფლებებით, რომელი[illegible]ჩემ მიერ შემდეგ იქნებიან გამოქვ[illegible]ყნებული.

მე დავადგინე დაარსდეს განკერ[illegible]ძოებული დროებითი საბჭო რომ[illegible]ლიც შესდგება რამოდენიმე ჩემ[illegible]აფიცრისაგან და ქ. ბათომუმის ქ[illegible]ლაქისგან, რომლებიც წარმომიდგენენ მე დასამტკიცებლად ახალი საბჭოს არჩევის სხემას. აღნიშნულმა საბჭომ უნდა დაამთავროს თავის მოქმედება ისეთ დროისთვის რომლის შემდეგ ბათუმის მოქალაქეებს შეეძლოსთ საარჩევნო ყუთთან მისვლა, არა უგვიანეს თებერვლისა 1920 წ.

ამასთანავე ბათუმის ქალაქის საქმეების მოსაწესრიგებლად, მე ვნიშნავ დროებითი გამგეობას შემდგარს: თავადი ჯავახიშვილისგან, ბ. ლორთქიფანიძისგან და ბ. ტოროსოვისგან.

ამასთანავე მე დავნიშნე ერთი ჩემი ოფიცერთაგანი აღნიშნულ გამგეობის თავმჯდომარეთ. რომელიც არის პასუხის მგებელი ჩემ წინაშე გამგეობის მუშაობაში. მე მივანდვე ჩემ ოფიცერს გაადიდოს გამგეობის შემადგენლობა თუ ამას საჭიროთ დაინახავს.

მე დავადგინე რომ ახალი გამგეობის დასახმარებლად შესდგეს ჩემ მიერ დანიშნული ოფიცრების მონაწილეობით შემდეგი კომისიები: 1) სარევიზიო, 2) საფინანსო, 3) სანიტარული, 4) საშკოლო, 5) იურიდიული, 6) ტეხნიკური, 7) სიძვ[illegible]ესთან საბრძოლველი, რომელიც [illegible]ოიმუშავებს პირველ საჭიროების [illegible]ებზე ნიმ[illegible]ს, და სხვა კომისიები.

[illegible] მივანდვე დროებით საბჭოს [illegible]ონ. თავის შემადგენლობა სხვა [illegible]ა სექციების შესადგენათ საჭ[illegible]ესამებრ, იმ მოქალაქეებისაგან [illegible]ებსაც სარგებლობა შეუძლიათ [illegible]ანონ საქმიანობას.

[illegible]ადის ჯენერალი სამხედრო გუ[illegible]ატორი ვ. უ. კუკ — კოლლისი.

[illegible] დღეს 23 ნოემბერს დილის [illegible]აათზე ვაკთა პირველ გიმნაზიის [illegible]აზში დანიშნულია დასავლეთ[illegible]ითველოს საშუალო სასწავლებ[illegible]ს მასწავლებელთა კავშირის სა[illegible]ბო კრება. განხილული იქნება [illegible]ხი მასწ. ჯამაგირის გადიდების [illegible]ებ.

[illegible] ბ. კუჭავამ კონსტანტინეიოსე[illegible]ლიანის გვირგვინის მაგიერ შემოსწირა „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას ასი

[illegible]

[illegible]ია (ღიაა 9—2 და 5—7).

[illegible]ყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე[illegible]ერილებს რედაქცია არ ინახავს.

[illegible]ლისის ქ., ფიჩხაძის სახლი. ფოსტის ადრესი[illegible]ი ფოსტის ყუთი № 80.

[illegible]ანი და შვილები მისი: მაშო, ნა[illegible] და ლიზა, სიძეები: ვარლამ (ვა[illegible]ხი ჩხატარაიშვილი უღრმესი მწუ[illegible]

ალარაღებულმა პირებმა გაძარცვეს ტყავეულობის ქარხანა „რიონი“ საიდანაც 17 ათასი მანეთის ღირებული საქონელი წაიღეს. შენიშნული პირები შენგელია, უხვაძე და ჩოგოვაძე შეიპყრეს. პირველი ციხეში მოათავსეს, მხოლო დანარჩენი ორი გამომძიებელთან გაგზავნეს.

ბოლშევიკების გამოცხადება. სენაკის მაზრის მილიციის უმფროსი ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს: საჭილაოს ბოლშევიკურ გამოსვლების დამნაშავენი თავის მეთაურით მილიციაში გამოცხადდენ.

იმავე მაზრის მილიციის უმფროსი იტყობინება, რომ ლევან და მელიტონ ხურციები და არის ტარხეჯიბია, რომლებიც ადმინისტრატიულნი ერთი თვის ვადით, უნდა იქნან გადარიცხული შინაგან საქმეთა სამინისტრს განკარგულებაში მსჯავრის დასადებათ, როგორც არა საიმედო პიროვნებანი.

სატუსალოში მოთავსება. ქუთაისის მაზრის კომისარმა დაადგინა ვარლამ და მიხეილ ბურჯანაძეები, რომლებიც სისტემატიურად არიან შემჩნეულნი ბოროტ მოქმედებაში, მოთავსებულ იქნას სადგუბერნიო ციხეში.

აჯამეთის ტყის რევიზია. ერობის გამგეობა ატყობინებს შინ. საქ. ადმინისტრ. ნაწ. ინსპექტორის თანაშემწეს, რომ ანდაადგინა: აჯამეთის ტყის რევიზია დამთავრებულათ ჩაითვალოს. მთელ ამ რევიზიის შედეგი გადაეცეს მიწათ-მოქმედების და იუსტიციის სამინისტროებს, ხოლო დატყვევებულები ამ საქმის გამო ისევ საპყრობილეში დარჩნენ.

დატყვევება. ადმინისტრაციას ინსპექტორის თანაშემწემ თბილისიდან შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო. „დატყვევეთ გიორგი ილ. ახვლედიანი, როგორც მავნე ელემენტი დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის, და ხელის შემშლელი ადგილობრივ ჩვენს მუშაობაში.

თავდასხმა. სვირის რაიონის კომისარი ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს. ზედა სიმონეთის საზოგადოებაში სოფელ ეწყრში მცხოვრებ ოქროპირა კუპატაძეს 18 ნოემბერს ღამით თავს დაესხენ რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტგამძრახველები, წაღებული არაფერი სჩანს, მხოლოდ სახლის კარებს აქვს ვინტოვკის ტყვიები მოხვედრილი. გამოძიება სწარმოებს.

შეპყრობა. 21 ამ ნოემბერს ქათოლიქეთა ქუჩაზე მცხოვრებმა შაბათა პაპიაშვილმა შანტაჟისტებისაგან მუქარის წერილი. მიიღო, რომელშიც უთვლიდენ გამოეგზანა დანიშნულ ადგილზე ფული. დანიშნულ დღეს სისხლის მილიციამ გაგზანამილიციონერები, რომლებმაც შეიპყრეს შემჩნეული პირი იმავე ქუჩაზე მცხოვრები ციციბო მარდახასძე ციციშვილი.

ქალაქის საგზოს სხდომა.

(21 ნოემბერი 1919 წ).

კრება იხსნება საღამოს 7 1/2 საათზედ.

თავმჯდომარეობს **შ. სანებლიძე.**

ალ. ჯაფარიძე. კითხულობს ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ პროექტს სანიტარული ზომების მიღებისთვის.

კ. სულაქველიძე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის წყლით უზრუნველ ყოფის საკითხს. სულ რამოდენიმე მეთულუხეა და ხშირია შემთხვევები როცა მათ იჭერენ და ციხეში აზიდვიებენ წყალს. ამიტომ არის შემთხვევა, რომ გაღმა უბანში 200 მანეთი, რომ მისცეთ ბოჭკა წყალში ვერ იშოვით.

ს. რობაქიძე. აღნიშნავს, რომ ქალაქს არა აქვს საშუალება საკუთარი მებოჭკეები იყოლიოს. თუ საბჭო მოისურვებს საკუთარი იყოლიოს, ამას ცალკე ხარჯთ აღრიცხვა სჭირდება და მე მგონია ვერც შესძლებს ქალაქი. რაც შეეხება იმ მებოჭკეებს რომლებიც უკვე ზიდავენ წყალს, ჩვენ გვაქვს ზომები მიღებული და ეს ორი კვირაა, რაც მათ ველარავინ გზავნის ციხეში წყლის საზიდავათ. ციხეს უკვე 3 საკუთარი მებოჭკე ყავს.

კაპანაძე. ბ ნო! ჩვენ როცა ვადიდებდით სანიტარულ გადასახადებს გვეკითხებოდენ, რას უშვებით ზედმეტ თანხასო. აგერ ეხლა ამ თანხასაც გამოუჩნდა გზა. სულაქველიძის მიერ წამოყენებული საკითხი ფრიად საყურადღებოა.

ქალაქმა, რომ იყოლიოს საკუთარი მებოჭკეები არაფერს არ წააგებს. არსებული მებოჭკეები ალბათ მოგებასაც ნახულობენ, ქალაქი კი ამ მოგებას ნუ გამოეკიდება, აინაზღაუროს თავის ხარჯები და სულ ცოტა პროცენტით ისარგებლოს.

ალ. ჯაფარიძე. განმარტავს, რომ ქალაქმა 50 ბოჭკა იყოლიოს, როგორც ამას ხმოსნები მოითხოვენ წლიურად 2 მილიონ ნახევარ ხარჯს გამოიწვევს. შემოსავალი კი თითო ბოჭკიდან ქალაქს 3000 მ. ექნება წლიურად.

ტრ. ჯაფარიძე. ქალაქს არ შეუძლია საკუთარი დააკმაყოფილოს მცხოვრებლები, მაგრამ რომ ქალაქმა მეტოქეობა გაუწიოს კერძო მებოჭკეებს, ამისთვის აუცილებელია ვიყოლიოთ რამოდენიმე ბოჭკა, რომლებიც გავლენას იქონიებს არსებულ მებოჭკეებზედ, ამას ბ-ბო მე მაგალითით დაგიმტკიცებთ.

როცა სასურსათო კომიტეტი არსებობდა მას 7 ურემი ყავდა. როცა კერძო მეურმეები 200 მანეთს მოითხოვდენ მათ 7 ქალაქის ურმით აშენებდენ. კერძო მეურმეები სიამოვნებით თანხმდებოდენ 150 მან.

როცა ურმებს შეხედენ უკვე 100 მანეთს ჯერდებოდენ. და ხშირი ყოფილა შემთხვევა რომ 30 მანეთადაც წამოგვიღია ურემი შეშა.

ესე ითქმის მებოჭკეებზედ. თუ ქალაქმა მეტოქეობისთვის მაინც არ იყოლია რამოდენიმე ბოჭკა, პირდაპირ წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩავარდება ქალაქი. აგრეთვე მეურმეებიც უნდა იყოლიოს ქალაქმა მარქაფად, თორემ რაც მოგვიკა შეშა, იმასაც ვერ გადმოვზიდავთ.

ვ. წერეთელი. ბ-ბო ქალაქის წყლით დაკმაყოფილება იმ წესით, რომელიც აქ იყო წამოყენებული შეუძლებელია. მეტოქეობა მაშინ არის კარგი, თუ მეტოქეს დაამარცხებ, მაგრამ თუ მეტოქემ დაგამარცხათ ეს ნაყოფს ვერ გამოიღებს. ქალაქი ვერ შესძლებს 50 ბოჭკა იყოლიოს და 2 ან 3 ბოჭკა მეტოქეობას ვერ გასწევს. ამიტომ ქალაქმა ხელი უნდა აიღოს ამ მეტოქეობაზედ.

თავმჯდომარე. საკითხს გამორკვეულად სთვლის და კენჭს უყრის პირველ წინადადებას ქალაქმა გაიჩინოს წყლის საზიდავი ბოჭკები არა ნაკლებ ათისა.

წინადადება მიიღეს.

კრებამ მიიღო მეორე წინადადებაც: რომ ქალაქის გამგეობამ შეიძინოს ასანიზაციის მოგვარებისთვის ათ ბოჭკამდე.

ალ. ჯაფარიძე. ნაგავის საწვავ მღვიმების აშენება ჯდება 224 ათასი მანეთი. (მიიღეს).

სახალხო აბანოების აშენება შეიძლება შევაჩეროთ რადგან ქუთაისში მეორე აბანოც იხსნება, და ჩვენ

რომ აბანო ავაშენოთ, ეს დიდ ხარჯებს მოითხოვს.

კ. **სულაქველიძე**-ამბობს რომ ან უნდა ავაშენოთ ახალი აბანოები, ან უნდა შევქმნათ ისეთი პირობები რომ არსებული აბანოები მთელი წელიწადი მოქმედებდეს. ასე რომ ან ქალაქმა მოკიდოს ხელი აბანოს მოწყობას და ან აიძულოს აბანოების პატრონები.

თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას: მისცეს წინადადება ორივე აბანოების პატრონებს რომ დაუყონებლივ აამუშაონ აბანოები, რომ არც ერთი დღე არ გასცდეს იქნეს დადგენილი ნიხრი. წინააღმდეგ შემთხვევაში აბანოები გადმოდის ქალაქის გამგეობის ხელში.

წინადადება მიიღეს.

ალ. ჯაფარიძე. (განაგრძობს) ქალაქის საავადმყოფოში ვანების მოწყობა.

ორი ბარაკის აშენება ვენერიული განყოფილებისთვის.

ქალაქის 6 საზოგადო ფეხის ადგილების გაკეთება.

საავადმყოფოს და ბარაკების რემონტი.

ქალაქის ამბულატორიის მოწყობა.

ქიმიკური და ქიმიკობაქტეოლოგიური ამბულატორიის გაკეთება.

ქალაქის ფარეხების მოწყობა

ჩამოთვლილი წინადადებები კრებამ უკმათოდ მიიღო.

ალ. ჯაფარიძე, სასაკლაოს გზის და რუბანის ქუჩის შეკეთება. ძველი გზის შეკეთება ჩვენ შეუძლებლათ ვცანით, ამიტომ მოვძებნეთ ახალი გზა თუმანიშვილის ადგილისკენ, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ.

კრებამ მიიღო შეკეთდეს ახალი გზა თუმანიშვილის და ზუბალოვის ადგილზე რომელიც გადის.

ალ. ჯაფარიძე. მდებარე არხების შეკეთება ჯდება 300 ათასი მანეთი. წინადადება მიიღეს.

კრებამ მიიღო წინადადება, რომ მიენდოს ქალაქის გამგეობას რათა მან მიიღოს სათანადო ზომები სადგურის მიდამოების გასაწმენდათ.

ალ. ჯაფარიძე. სანიტარული ინსპექტორის თანამდებობის დაწესება.

კრებამ მიიღო დარჩეს არსებული სანიტარული კომისია და დაარსდეს სანიტარული ინსპექტორის თანამდებობა. ჯამაგირათ დაუნიშნოს სანიტარულ ინსპექტორს 4500 მან. სანიტარულ ექიმს 4000 მ. მათი მიმოსვლის საშუალების მოწესრიგება მიანდო ქალაქის გამგეობას. დაარსებულ იქნეს სანიტარული საქმის მწარმოებლის თანამდებობა და დაევალოს სტატისტიკის მოგვარება.

ალ. ჯაფარიძე. უფასო ამბულატორიის ექიმს დაენიშნოს 2500 მ. და იქვე დაენიშნოს 4 დროებითი ექიმი სხვა და სხვა სპეციალობის. ჯამაგირათ უკანასკნელთ დაენიშნოს 1000 მან.

სხვა და სხვა წინადადებების შემდეგ კრებამ მიიღო ამბულატორიის გამგეს დაენიშნოს 3000 მ. ექიმებს: ხირურგს 2000 მ. ვენერიულ, ყურის და თვალის ექიმს 1500 მ.

კრება ამტკიცებს მთელ სანიტარულ ზომებს ქალაქის გამგეობის მიერ გამომუშავებულს

რობაქიძე შემოსულია თხოვნა მომრიგებელ მოსამართლეებისგან რომ მათ არ ჩამოაკლდესთ ის 650 მ. რომელიც ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა როცა მათ მცირე ჯამაგირები ქნოდათ, და რომელიც ქალაქმა შეუწყვიტა, როდესაც მთავრობამ მათ ჯამაგირები მოუმატა.

კრება შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

ბაჭუა.

მოწოდება.

გელათის მონასტერი საქართველოს დიდებაა. ქართველისათვის გელათი არის სარწმუნოებრივი სიწმინდე და ეროვნული საუნჯეც. გელათი არის ნაშთი მსოფლიო სასახელო ხელოვნებისაც და ქართული ხუროთ მოძღვრებისაც, რვა ასი წელიწადი ეს ისტორიული ძეგლი მჭევრმეტყველად ლაღადებს საქართველოს ერის ღირსებასა და დიდებას.

თუ ქართველი ერი ეცდება, ეს ძეგლი სამუდამო იქმნება და მომავალ საუკუნეთა მიმდინარეობა მასს ვერ შეარყევს. ქართველი ერის მოვალეობაა ეს დიდებული ისტორიული განძი დაიცვას, შეინახოს და მომავალ თაობას უვნებლად გადასცეს. თუ ქართველი ერი ისევ ქართველია, გელათი ვერც გარეშე მტერმა უნდა წაიღოს და ვერც სტიქიონმა დაანგრიოს. თუ ქართველი ისევ ქართველია, გელათს ჰირისუფალი არ უნდა მოაკლდეს. საქართველოს მთავრობაც და ყოველი მოქალაქეც მოვალეა ისტორიის და ერის წინაშე გელათს მოუაროს და ისე მოაწყოს, რომ იქ მისვლა და ყველაფერის დათვალიერება გაადვილდეს, რომ ამით სულიერი საზრდო მიიღოს და უზენაესი სიამოვნებაც განიცადოს მლოცველმაც და სიძველეთა მნახველმკვლევარმაც.

ამ ჟამათ განზრახულია გელათის მონასტერს და რკინის გზის სადგურს შუა ავტომობილით მიმოსვლა გამართონ, მონასტერში ელექტრონით განათება მოაწყონ და სხვა და სხვა ტეხნიკური გაუმჯობესობა მოახდინონ, ამისთვის გელათის მონასტრის ძმობა წინამძღვრის მეთაურობით და სასულიერო მთავრობის სათანადო ნებართვით საქართველოში შეწირულებას აგროვებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველი ქართველი შეძლების დაგვარად წვლილს გამოიღებს და ძმათა კეთილი განზრახვა მალე განხორციელდება. ყველა უნდა ეცადოს, რომ გელათის გაუმჯობესებაში მასაც წილი ედვას. გელათისათვის შეწირულების გაღება ქველმოქმედებაც არის და საშობლოს სამსახურიც.

ღმერთი და ყ-დ წმიდა ღვთის მშობელი შეეწიოს და კეთილ ეყოს ყოველ შემომწირველს.

წინამძღვარი გელათის მონასტრისა,

არხიმანდრიტი ნესტორ.

ჩუნეშის საოლქო ეკკლესიების დათვალიერება ქუთათელ მიტროპოლიტის მიერ.

მადალ ყ-დ სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, მიუხედავათ დაუდგომელი ამიდებისა 11 ნოემბრეს წაბრძანდა ჩუნეშის საოლქო ეკკლესიების დასათვალიერებლად. ბარის ეკკლესიების გზები წი

ერთი ძნელი საუბარი [illegible] ... როგორც სამრეწველო ქალაქი, როგორც ზღვის ნაპირის სიმაგრე და მეორე მხრით პოლიტიკური საფრთხის ადგილათ გადაგვექცა, სადაც მტერმა მოიკალათა და ჩვენ მიზანში ამოგვიღო.

დღეს გარემოება იცვლება. ბათუმის მდგომარეობაში ახალი ხანა იწყება.

ბათუმიდან რუსის ელემენტი გაიხვნა. ბათუმი ინგლისის ზედამხედველობაში იქნება. ფაქტიურად ბათუმის გამგენი ქართველები იქნებიან. ყოველ შემთხვევაში ბათუმში დიდ უფლება ეძლევა ადგილობრივ [illegible] ... ბა წაბრძანდა მაღლობების ეკკლესიების დასათვალიერებლად.

დათვალიერა სხვათა შორის „უძლურის წმ. გიორგის ეკკლესია და ქვილეშორისზედ მიწერილი“, რომლებსაც, მათი მიუდგომელი მდებარეობისა და გზის უვარგისობის გამო, წინეთ მღვდელ-მთავრები იშვიათათ თუ დათვალიერებდენ.

უძლურის წმ. გიორგის ეკკლესია უუძველეს დროს არის აშენებული თუმცა დროთა ვითარებისაგან მხატვრობა ძლიერ შელახულია. ეს ეკკლესია ორ სართულიანია. პირველი სართული მთლად მიწაშია მოთავსებული და მხოლოთ ხვრელით შეიძლებოდა შიგ შესვლა, მაგრამ ეს ხვრელი დღეს მიწით არის ამოვსილი. ცხუნკურის ეკლესიაზე მღვდელმთავრის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ძველის ძველი ტრაპეზის ჯვარმა წარწერით, რომელიც ძნელი ამოსაკითხავია და სოლომონ მეფესგან ნამოძღბმა ვერცხლის ბარძიმ ფეშხუმმა. 17 ნოემბერს მისი მეუფება დაბრუნდა ქუთაისში.

დამსწრე.

კორესპონდენცია.

სადგური ხრესილი. (ტყიბულის უბანი) მთელს ტყიბულის რაიონის მცხოვრებთ წელს მოუსავლობის გამო დიდი გაჭირვება მოელით შიმშილისაგან, ვინაიდან გამოსავალი გზა არ მოეპოვებათ. ბ ნ ტყიბულის უბნის კომისარის ვ. ფიჩხაიას მეთაურობით იქნა მოწვეული ყველა ამ რაიონის თემების გამგეობათა წევრები, კომისრები და სოფლის სანდო პირები, რომლების ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება! „1919 წელს ნოემბრის 21 დღესა ტყიბულის სარაიონო კომისარიატშიდ იქმნა მოწვეული ყველა თემების გამგეობათა წევრები, კომისრები და სოფლის სანდო პირები,—ცუდი მოსავლის გამო სურსათის საკითხის (შეძენის) გამოსარკვევად, კრებამ თავჯდომარეთ აირჩია გურნის თემის გამგეობის თავჯდომარე ალ. მინდიაშვილი, მდივნათ ისმაილ ბუხაიძე. კრებაზე ამბაკო ქარქაშაძემ ვრცლათ განუმარტა სურსათის დროზედ შეძენის აუცილებელი საჭიროება. [illegible] ... ცვლა გამოცდილის შემდეგ კრებამ ერთხმად [illegible] ... ძენა დაევალოს ხრესილის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობას, და თუ საჭირო იქნება მიეცეს დამხმარე პირები, 2) დაევალოს ადგილობრივი თემების მმართველთ მოწინაპირების დახმარებით გამოარკვიონ ... ის რამდენი სიმინდი ესაჭიროება საზრდოოთ, მისცენ წინადადება ... იმინდის შემძენთ წინდაწინ შემოიტანონ ფუთზედ ათი თუმანი-რომ ... ესაძლებელი გახდეს სიმინდის ყიდ ... ყოველივე ცნობა იქნეს წარმოდენილი მეორეთ დანიშნულ ყრილობაზედ ნოემბრის დამლევ რიცხვს, საარაონო კომისარიატში ... ადლობის ღირსია ტყიბულის რაიონის კომისარი ვ. ... ფიჩხაია, რომელიც ყოველივე საქმეებს, როგორც ადმინისტრატიულს ... ბრეთვე საზოგადო ხასიათისაც ... ის ყურადღებით და ენერგიით ეპყრობა. მან დანიშნისთანავე შესძლო ბოროტმომქმედნი პირების ალაგმვა. მხოლოდ დარჩენია ერთი რამ მოუწესრიგებელი, ეს არის არა საიმედო და არა სასურველი პირების მწერლებათ ყოლა. მაგალითად, საწირის, რიონის და სხვა, რომლებიც არიან სახელგათქმულნი თავის მექრთამეობით, რომლებსაც ხალხი დიდი ზიზღით უყურებს, როგორც ძველი რეჟიმის ნაანდერძებსთ, მაგრამ იმედია რომ მათ შესახებაც მიიღებს შესაფერ ზომებს. ამხანაგების დავალებით ვუსურვებ მას ამ კეთილი გზით სიარულს ხალხის საკეთილდღეოთ, რომლის შრომას ხალხის გულში დავიწყება არ ექნება.

„ჰინჭრაქა“.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გადაუხადოთ ქუთაისის აზოვო-დონის კომერციული ბანკის გამგეობას, რომელმაც კეთილ ინება და ქუთაისის საგარნიზონო ჯარისკაცთა უნივერსიტეტის სასარგებლოთ შემოსწირა ოცი ათასი მანეთი, რომელი თანხაც ჩვენ სამზრუნველოდ კომიტეტმა უკვე მივიღეთ სრულათ ნაცხადებთ, რა ამ მადლობას იმედ გვაქვს, რომ ქ. ქუთაისის მრეწ[illegible] ... ლები არ დაიშურავენ თავ[illegible] ... წვლილს შემდეგისათვისაც და [illegible] ... შეუწყობენ ამ ფრიად სიმპ[illegible] ... დაწესებულების ფონდის გაძლ[illegible] ... ბას, რითაც მისცემენ საშუა[illegible] ... საყვარელ სამშობლოს და სის[illegible] ... ვეურთ ჯეროვანი ფხიზელი და[illegible] ... დაუყენონ ჩვენს ერს შეგნებ[illegible] ... ჯარის კაცის სახით.

პატივისცემით ქუთაისის საგა[illegible] ... ზონო კაცთა უნივერსიტეტის [illegible] ... ზრუნველო კომიტეტი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

სტამბა **ნ. ფერაძის** და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.